



# საინფორმაციო ბიულეტენი

## მესამე გამოცემა 2015 წლის აგვისტო



### ENPARD –ის ხარჯების შეფასების ანგარიში დადებითად შეფასდა



რამდენად შეძლო საქართველოს მთავრობამ ევროკავშირთან შეთანხმებული პირობების შესრულება და აგრო სფეროს ხელშეწყობა, როგორ ხორციელდება ENPARD-ის პროგრამა, ეს სამ-წევრიანმა დამოუკიდებელმა კომისიამ 2015 წლის მაისში შეაფასა და, კარგი ამბავიც უკვე გვაქვს, - დასკვნის თანახმად, ამ ეტაპზე, ENPARD-მა სრულად მიაღწია ყველა დასახულ მიზანს, ცალკეულ შემთხვევებში გადაჭარბებითაც კი, - და, ამდენად, კომისიის დასკვნით, ევროკავშირმა უნდა გამოჰყოს მომდევნო 8 მილიონი ევრო პროგრამის გასაგრძელებლად.

#### ამ დროისთვის ENPARD-ის ფარგლებში დაგეგმილი ყველა მიზანი მიღწეულია

მაკროეკონომიკური სტაბილურობა, საჯარო ფინანსური მართვის სისტემის (PFM) გამჭვირვალობა და სოფლის მეურნეობაში ერთიანი სამთავრობო სტრატეგიის შექმნა - აი ეს იყო ის სამი უმთავრესი პირობა, რომელიც ENPARD-

ის საბიუჯეტო დახმარების ნაწილში თავიდანვე მიზნად დაისახა, და, ამ სამივე მიმართულებით, შემფასებელთა ჯგუფმა საუკეთესო შედეგები გამოავლინა. სწორედ მაკროეკონომიკურმა სტაბილურობამ და საჯარო ფინანსური მართვის სისტემის გამართულობამ განაპირობა საბიუჯეტო დახმარება, და, მთავრობის აგრო-სტრატეგიაც საამისოდ მნიშვნელოვანი არგუმენტი იყო.

დასახულ მიზნებს ENPARD-მა სხვა კომპონენტებშიც მიაღწია; 2015 წლის 19 მაისისთვის 888 აგრო-კოოპერატივმა ➡





## ENPARD – ის ხარჯების შეფასების ანგარიში დადებითად შეფასდა



გაიარა რეგისტრაცია, რაც დაგეგმილ ციფრთან, 50-თან შედარებით მკაფიო სხვაობაა. მათგან ოთხი "მეორე დონის" კოოპერატივია, ფერმერულ კოოპერატივზე მაღალი რანგის ღირებულებათა ჯაჭვი, და, კოოპერატივთა რიცხვიც მუდმივად მზარდია.

გადაჭარბებით შეასრულა ENPARD-მა სხვა არაერთი გეგმაც. ერთი ასეთი გეგმით, ამ დროისთვის ქვეყნის მასშტაბით 30-ზე მეტი რაიონული საინფორმაციო საკონსულტაციო ცენტრი

### სოფლის მეურნეობის ნაწარმი, წინა წლის განმავლობაში, საერთო ჯამში, 10%-ით გაიზარდა

უნდა უწევდეს კონსულტაციას მცირე ფერმერებს, ფაქტობრივად კი ცენტრების რიცხვი 54-ია, მათგან 9 რეგიონული მასშტაბით მუშაობს, და, კომისიის შეფასებით, თითოეული საერთაშორისო სტანდარტს პასუხობს. შედეგად, 250,000 ფერმერმა (საერთო რაოდენობის 30-40%) პირდაპირ თუ ირიბად მიიღო

საჭირო ინფორმაცია ამ ცენტრებიდან, იმის გათვალისწინებით, რომ ეს ქსელი 2013 წელს შეიქმნა, ეს უთუოდ მნიშვნელოვანი შედეგია.

ვითარდება აგროსტატისტიკის წარმოება, 2014 წელს საქართველომ სოფლის მეურნეობის აღწერა ჩაატარა, რომლის შედეგი სრულად მომავალ წელს გამოქვეყნდება. ეს შეუძლებელი იქნებოდა მონაცემთა შეგროვების მწყობრი სისტემის გარეშე, რაც შეიქმნა და შეფასების თანახმად, საქართველოს უკვე აქვს აგრო-ფასების სანდო ➡

# ENPARD

ის პროგრამა



საბიუჯეტო დახმარება სოფლის მეურნეობის სამინისტროს



დარეგისტრირებული კოოპერატივი



მეორე დონის კოოპერატივი (ან დიდი მასშტაბის კოოპერატივი)



რაიონული საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრი, აქედან 9 რეგიონალური მასშტაბის ცენტრი





მონაცემთა ბაზა, რომელიც ყოველწლიურად ახლდება.

დამოუკიდებელმა კომისიამ განსაკუთრებით მაღალი შეფასება მისცა მთავრობას იმისთვის, რომ მან შეძლო "ბრწყინვალე და კონსტრუქციული" დიალოგის წარმართვა პროგრამის ყველა წევრთან - უშუალოდ

### აღნიშნული შედეგის ეკონომიკური სარგებელი ადვილი შესამჩნევია



ფერმერებიდან და კოოპერატივებიდან დაწყებული, საერთაშორისო

ორგანიზაციების ჩათვლით. ანგარიშის თანახმად, მთავრობა ხედავს შემდგომი რეფორმების საჭიროებას და მზად არის მათ განსახორციელებლად და სწორედ ეს ქმნის მყარ საფუძველს პროექტის შემდგომი განვითარებისთვის, ხოლო ამის ეკონომიკური სარგებელი ადვილი დასაანხია - 2014 წლის განმავლობაში ქვეყანაში 3.4 მილიარდი ლარის პირველადი აგრო-პროდუქცია შეიქმნა (1,37 მილიარდი ევრო), დამატებით 4.5 მილიარდი ლარის (1.81 მილიარდი ევრო) აგრო-პროდუქტი გამოუშვა დამამუშავებელმა მრეწველობამ. ჯამურად, აგროწარმოების ზრდამ შარშან 10% შეადგინა, რის პასუხადაც 2014 წელს უცხოელმა ინვესტორებმა ქვეყნის აგროსფეროში 19 მილიონი ა.შ.შ. დოლარი დააბანდეს (17.2 მილიონი ევრო), მაშინ როცა ეს ციფრი 2013 წელს 12 მილიონ ა.შ.შ. დოლარს (10.8 მილიონი ევრო) არ აღემატებოდა.

ინვესტიციათა ზრდა კი საქართველოს მიმდინარე ანგარიშს აუმჯობესებს, ამცირებს დეფიციტს. 2014 წელს აგრო-პროდუქციის ექსპორტი შარშანდელთან შედარებით 6,7%-ით გაიზარდა, რამაც უარყოფითი სავაჭრო ბალანსი ამ სეგმენტში, 2013 წელთან შედარებით 7.3%-ით შეამცირა, ხოლო 2012 თან შედარებით - მთელი 37%-ით. ■

# ENPARD

## 2014 წლის აგროწარმოების მონაცემები







# ქართული აგროწარმოება ირჩევს თხილს

საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების საიდუმლო თხილის წარმოებაშია. თხილი საქართველოს უძველესი პროდუქტია, რომლის წარმოება ჯერ კიდევ ჩვ.წ.აღ.-მდე მე-6 საუკუნეში დაიწყო და არცთუ გასაკვირად ადგილობრივი მინა და კლიმატი ამ კულტურისთვის საუკეთესოა.

თუმცა ეს ტრადიცია და გამოცდილება წარსულს კი არ ჩაბარდა, არამედ ვითარდება და მეთხილეობაც ქართული ეკონომიკის ერთ-ერთი წამყვანი ქვე-სექტორი ხდება - ამაზე წარმოებისა და ექსპორტის სწრაფად მზარდი ციფრები მიუთითებს. 2014 წელს საქართველოდან 183 მილიონი ა.შ.შ. დოლარის (167,7 მილიონი ევრო) თხილი გავიდა ექსპორტზე, რითაც უკან მოიტოვა ისეთი მსხვილესი საექსპორტო პროდუქტი, როგორიც არის ღვინო.

2015 წლის პირველ 5 თვეში, მთლიან

ექსპორტში თხილის წილი 8%-მდე გაიზარდა, მაშინ როცა 2014-ში 2.4% იყო მხოლოდ. გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის მონაცემებით, თურქეთისა და იტალიის შემდეგ, საქართველო თხილის მესამე უმსხვილესი ექსპორტიორია, ხოლო სოფლის მეურნეობის სამინისტროს ამბიციური გეგმის თანახმად მომდევნო 5 წელიწადში ის მსოფლიოს სიდიდით მეორე ექსპორტიორი უნდა გახდეს.

თხილის წარმოების პირველ ფორუმზე, რომელიც ანაკლიაში 2015 წლის 15 მაისს გაიმართა, მინისტრმა ოთარ დანელიამ აღნიშნა, რომ სახელმწიფოს აქვს თხილის წარმოების განვითარების გეგმა, რაც მდგომარეობს უახლესი სარწყავი ტექნოლოგიების, კერძოდ წვეთოვანი სისტემების დანერგვასა და სანერგე მეურნეობების შექმნაში. ENPARD-ი მხარს უჭერს სამინისტროს გეგმას შექმნას ქართული თხილის ბრენდი.

**ENPARD-ის მიერ დაფინანსებული პროფესიული რჩევა დაფუძნებულია ნიადაგის ფიზიკურ და ქიმიური მახასიათებლებზე და ინოვაციურ ტექნოლოგიებზე, რაც საბოლოო ჯამში გააუმჯობესებს თხილის ხარისხს და მოსავლიანობას**





დრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო ხელშეკრულება (DCFTA), რომელიც ევროკავშირთან 2014 წლის ივნისში დაიდო თბილისის სექტორისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან სხვა პროდუქციისგან განსხვავებით, თბილისი სწორედ ევროკავშირის ბაზრისთვის არის გამომწველი.

ქართული თბილისი საბაჟო გადასახადისგან ევროპაში აქამდეც თავისუფალი იყო "GSP+" სავაჭრო შეთანხმების საფუძველზე, თუმცა DCFTA უზრუნველყოფს ევრო-სტანდარტებთან თბილისის ხარისხის შესაბამისობასაც და ამ გზით ზრდის მის ექსპანსიას ევროპულ ბაზარზე.

თბილისის ყველაზე მსხვილ ევროპულ იმპორტიორთა ხუთეულს გერმანია, იტალია, ბელგია, შვეიცარია და საფრანგეთი ქმნიან, ისინი მსოფლიოში წარმოებული თბილისის 80%-ს ყიდულობენ.

ქართული თბილისის კონკურენტუნარიანობა და რაოდენობა დამოკიდებულია სამ ძირითად ფაქტორზე: 1. ხარისხზე და ღირებულების ჯაჭვის ყველა ეტაპზე სწორი მარკეტინგის უზრუნველყოფაზე, 2. ევროპულ და აზიელ იმპორტიორებთან კონტაქტების გაფართოვებაზე და 3. წარმოების პროცესისა და სტრუქტურის გამსხვილებაზე.

ფერმერთა გაერთიანებები, ასოციაციები და კოოპერატივები უმთავრეს როლს თამაშობენ ამ ფაქტორების უზრუნველყოფაში, რადგანაც ერთიანი ძალისხმევით მათ შეუძლიათ მინიმალური დანახარებით გაზარდონ ხარისხი და პროდუქტის თვითღირებულება, უფრო ადვილად დაძლიონ დარგში არსებული პრობლემები.

ეს ყოველივე კარგად იცის თვითმურაბ სიგუამ, რომელიც ზეგდინში, კოოპერატივი „ყულიშკარის“ წევრია, 150 კოოპერატივიდან ერთ-ერთის, რომელთაც ENPARD-ის ტრეინინგში მიიღეს მონაწილეობა და ბიზნესის დაგეგმვისა და აგრო-ტექნიკის შესახებ აიმაღლეს ცოდნა.

„ყულიშკარმა“ ENPARD-ის დაფინანსებას მიიღო და აგრო-ტექნიკა, კერძოდ სპეციალური ტრაქტორი, ბალახის მჭრელი დანადგარი და სათესი მოწყობილობა საბაზრო ღირებულების

23%-ად შეიძინა, შედეგად კი, წარმოების დანაკარგი შემცირდა და წარმადობა კი გაეზარდა.

11 წევრიან კოოპერატივს ამჟამად თბილისის პლანტაცია 52 ჰექტარზე აქვს გაშენებული - ხარჯების გაზიარებით მათ სხვა დანადგარების შეძენის და შედეგად გაზარდეს მოგება.

ხუთი არასამთავრობო ორგანიზაციისგან შემდგარი კონსორციუმის მეშვეობით ENPARD-ი ეხმარება მცირე ფერმერებს გაერთიანებაში და კოოპერატივებად ჩამოყალიბებაში. ამჟამად, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო ცდილობს ბევრად მსხვილი გაერთიანებების შექმნას შეუწყოს ხელი, რომელთაც თანამედროვე საშრობი მოწყობილობების შეძენაში დაეხმარება. ENPARD-ი სამინისტროს ამ წამოწყებასაც უჭერს მხარს.

წარმადობას და ნოუ ჰაუს თბილისის ბიზნესში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ამჟამად 1 ჰექტარზე, საშუალო წარმადობა საქართველოში 1.5-1.8 ტონა და სწორი

კულტივაციის პირობებში 2-3 ტონამდე უნდა გაიზარდოს.

ქართული თბილისი დაახლოებით 95%-ს ამჟამად 50,000 მცირე ფერმერი აწარმოებს, მსხვილი ფერმერთა წილად კი მხოლოდ 5% მოდის. ეს სტრუქტურა რამდენიმე რგოლისგან შედგება: თბილისი ბაღების მფლობელი წვრილი მენარმეებისგან, რომლებისგან თბილის დისტრიბუტორები ყიდულობენ და შედარებით მსხვილ პარტიებად აბარებენ თბილისი გადამამუშავებელ კომპანიებს, რომლებსაც საბოლოო პროდუქტი ექსპორტზე გააქვთ.

თბილისის წარმოებაში მთავარი საფრთხე დაავადებების გავრცელებაა, ამის აღსაკვეთად ENPARD-ი ატარებს წვრთნებს და ტექნიკურ დახმარებასაც უწევს ფერმერებს. დახმარება მოიცავს ნიადაგის ფიზიკური და ქიმიური მახასიათებლების კვლევას, ისევე როგორც მართვას და წარმოების ინოვაციური, ხარჯ-ეკონომიური ტექნოლოგიების დანერგვას, რამაც უნდა გააუმჯობესოს თბილისის ხარისხი და იმავდროულად გაზარდოს მოსავლიანობა. ■

### თბილისი საქართველოს ეკონომიკისთვის უმთავრესი ქვე-სექტორი ხდება, რადგანაც აღნიშნული პროდუქტის წარმოება და ექსპორტი სწრაფი ტემპით იზრდება



2014 წელს საქართველომ მოახდინა 183 მილიონი დოლარის ღირებულების თბილისის ექსპორტი, შესაბამისად თბილისი გახდა ნომერ პირველი პროდუქტი სოფლის მეურნეობის დარგში ექსპორტის თვალსაზრისით

2015 წლის პირველი 5 თვის განმავლობაში თბილისის ექსპორტმა, საერთო ექსპორტის 8%-ი შეადგინა, რაც წინა წელთან შედარებით 2.4%-იანი ზრდის მაჩვენებელია

საქართველო მსოფლიოში თბილისის ყველაზე დიდი მწარმოებელია ერთ სულ მოსახლეზე

50,000 ოჯახი აწარმოებს საქართველოში წარმოებული თბილისის 95%-ს, დანარჩენი 5% კი მსხვილი ფერმერების მიერ იწარმოება

შექმნილია 150 კოოპერატივი თბილისის დარგში





## კვლევა, როგორც სიახლეების დანერგვისა და პროდუქტიულობის ზრდის გარანტი

სოფლის მეურნეობაში წარმადობის ასამაღლებლად საუკეთესო გზა ინოვაციების დანერგვაა, რაც სამეცნიერო კვლევებს მოითხოვს - მიიჩნევენ ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (OECD). საქართველოში კი აკადემიური და კვლევითი ინსტიტუტების როლი სოფლის განვითარებაში დაკნინებულია და მის აღსადგენად ENPARD-ი ორ პროექტს ახორციელებს. თითოეულის დაფინანსება 350.000 ევროა, ხანგრძლივობა - 18 თვე, მიზანი კი - აგრო-სექტორში ანალიტიკური მიდგომის განვითარებაა.

პროექტში ჩართულია ირლანდიის უნივერსიტეტი ლიმერიკი, რომელიც ქართულ საგანმანათლებლო და კვლევით ინსტიტუტებს ცოდნის გადრეზუმებასა და უნარების გაუმჯობესებაში დაეხმარება. თავის მხრივ, ლიმერიკის უნივერსიტეტს პარტნიორობას სოფლისა და სოფლის მეურნეობის პოლიტიკისა და განვითარების ინსტიტუტი (RAPDI) და საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი გაუწევნენ.

პროექტს ოთხი მიმართულება ექნება: 1. სამოქალაქო საზოგადოების ხელშეწყობა კონკრეტული საკითხების და პოლიტიკის შემუშავებაში, 2. უმაღლესი განათლების როლის გაძლიერება აგროწარმოებაში, რომლის ფარგლებშიც შემუშავდება და აგრარულ უნივერსიტეტში დაინერგება სასწავლო კურსი ფერმერებისა და კვების მრეწველობის პრაქტიკოსებისთვის.

3. პროექტი ითვალისწინებს ქართული აგრო-რეგულაციების შესახებ

საზოგადოების განათლებასაც, და ცნობიერების ამაღლებასაც მაღალმთიანი და ნაკლებად განვითარებული რეგიონების მართვის ევროპული გამოცდილების შესახებ;

4. მცირე მეწარმეებისა და ფერმერებისთვის იმ სარგებლის ახსნას რაც ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობისა და ასოცირების ხელშეკრულებას ახლავს და მათთან დაკავშირებულ რეგულაციებს.

დასახული ამოცანებს პროექტის მონაწილეთა მრავალმხრივი პრაქტიკული ცოდნა დიდად წაადგება.

ლიმერიკის უნივერსიტეტი, რომელსაც საქართველოში მუშაობის 25 წლიანი გამოცდილება აქვს, ირლანდიის სოფლის მეურნეობაში აკადემიური და კვლევითი ინსტიტუტების როლზე ჩაატარებს ლექციებს.

აგრარული უნივერსიტეტი ამ სფეროში ქვეყნის ერთ-ერთი აკადემიური ინსტიტუტია.

შედარებით ნაკლები გამოცდილება აქვს არასამთავრობო ორგანიზაცია RAPDI-ის რომელიც 2014 წელს ჩამოყალიბდა, თუმცა მისი დამფუძნებლები აგრო-სფეროში 20 წლიანი გამოცდილების მქონე ექსპერტები არიან და ისინი ბოლო წლებში სოფლის მეურნეობის სამინისტროს მაღალ თანამდებობებზე მუშაობდნენ.

პროექტის კიდევ ერთი პარტნიორი

საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტია (GIPA), რომელიც აგრო-კვლევებს თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის, სამცხე-ჯავახეთისა და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტებში დანერგავს. ამ სასწავლებლების სტუდენტები და ასპირანტები გაივლიან ინტენსიურ კურსს და ქართული აგრო-წარმოებისთვის მნიშვნელოვანი მიმართულებებით ერთობლივ კვლევებს ჩაატარებენ. ამ პროცესში ისინი აიმაღლებენ თავიანთ პროფესიულ ცოდნასა და უნარებს და კონსულტაციას გაუწევენ რეგიონული განვითარებით დაკავებულ სტრუქტურებს რათა მათ უკეთესი გეგმები დასახონ ამა თუ იმ რეგიონის განვითარებისთვის, უკეთ შეასრულონ თავიანთი სამუშაო.

GIPA-ს გარდა პროექტს განახორციელებს კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციათა ქსელიც CENN, რომელიც რეგიონულ უნივერსიტეტებს ტექნიკურ ცოდნას მიაწვდის აგრო-წარმოების საერთაშორისო სტანდარტებზე, როგორებიცაა GLOBAL GAP, კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობა (CSA) და ინტეგრირებული ბუნებრივი რესურსების მართვა (INRM).

კიდევ ერთი პარტნიორი, ქართული არასამთავრობო ორგანიზაცია - პოლიტიკისა და მართვის საკონსულტაციო ჯგუფია, რომელიც რეგიონული განვითარებისთვის საკანონმდებლო რეკომენდაციებზე იმუშავებს.



კვლევა

### ENPARD აფინანსებს

კვლევებისა და აკადემიური ცოდნის გადრეზუმების მხარდაჭერა ორ პროექტს, რომლის პერიოდი 18 თვეა და თითოეულის ბიუჯეტი 350, 000 ათასი ევროა.

### ირლანდიის უნივერსიტეტი ლიმერიკი სოფლისა

და სოფლის მეურნეობის პოლიტიკისა და განვითარების ინსტიტუტთან (RAPDI) და საქართველოს აგრარული უნივერსიტეტთან ერთად იმუშავებს.

### GIPA, CENN და PMCG

თელავის იაკობ გოგებაშვილის, სამცხე-ჯავახეთისა და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტების გაძლიერებისთვის იმუშავებს.







## ყველა ფერმერი ვერ იქნება აგროწარმოებიდან სოფლის განვითარებამდე

სოფლის მეურნეობის მოდერნიზაცია უთუოდ კრიტიკული ელემენტია სოფლად სიღარიბის დასამარცხებლად, თუმცა არანაკლებ საკვანძო მნიშვნელობისაა რეგიონული ეკონომიკის დივერსიფიკაცია და საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების შეფასებისას 2013 წელს ევროკავშირმა ეს ხაზგასმით აღნიშნა, და, ამიტომაც დაემატა მომდევნო, 2014 წელს ENPARD-ის პროგრამას რეგიონის დივერსიფიცირებული განვითარება. იმის მიუხედავად, რომ ამ დროისთვის რეგიონული პოლიტიკა საქართველოს შემუშავებული არ აქვს, ENPARD იმედოვნებს, რომ სამი ახალი საცდელი პროექტი, რომელიც მან წამოიწყო დაეხმარება მთავრობას რეგიონული განვითარების თანამედროვე კონცეფციის შექმნაში - როგორც ეს ევროპამ მოახერხა წარმატებით ბოლო ათწლეულებში.

მთავარი იდეა, რომელზეც ENPARD-ის რეგიონული განვითარების 3 მილიონიანი

საპილოტე პროექტები დგას ისაა, რომ ყველა ვინც რეგიონში ცხოვრობს ფერმერი ვერ იქნება, და, ბავშვის მოვლა-გართობის ბიზნესი, საოჯახო სასტუმრო თუ ეკო-ტურიზმი ასევე საჭიროებს განვითარებას რომ დასაქმდეს და თავი დააღწიოს სიღარიბეს ქალაქ-გარეთ მცხოვრებმა მოსახლეობამ. თითოეული პროექტის ფარგლებში მათ ასწავლიან როგორ შეიმუშავონ სათანადო ბიზნეს-პროექტები, დაწერონ ბიზნეს-გეგმა თუ შეადგინონ ბიუჯეტი, მათ განსახორციელებლად კი გამოვლინდებიან ისინი ვინც გრანტს მიიღებს.

საპილოტე პროექტები სამ რეგიონში განხორციელდება, კახეთში შეირჩა ლაგოდეხში, მცხეთა-თიანეთში - ყაზბეგი, და, სამცხე-ჯავახეთში - ბორჯომი, მეთოდოლოგიად კი ფრანგული LEADER-ის მეთოდოლოგია შეირჩა (- Liasons entre actions de développement rural), რომლის თანახმად რეგიონული განვითარება მაშინ

არის ეფექტური, როცა ის ადგილობრივ დონეზე წყდება, ადგილობრივი მოთამაშეების მიერ.

ფრანგულ მოდელს „LEADER“ შვიდი ძირითად მიდგომა აქვს: ადგილობრივ კონტექსტზე მორგებული რეგიონული განვითარების სტრატეგია; ქვევიდან ზევით მიმართული გადაწყვეტილებები; თანამშრომლობა საჯარო და კერძო სექტორებს შორის, ინოვაცია, სხვადასხვა სექტორების ინტეგრაცია და ერთობლივი მუშაობა, მათი წევრების ქსელში გაერთიანება და კოოპერაცია.

ყოველი პროექტის ფარგლებში, შეიქმნება ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფები, რომლებშიც ბევრი სხვადასხვა წევრი იქნება, დაწყებული საჯარო მოხელეებიდან, კერძო და არასამთავრობო სექტორების წარმომადგენლებით დამთავრებული. წევრებს შორის შეთანხმებით სამოქმედო ჯგუფები შეიმუშავებენ ადგილობრივი





## **ENPARD-ის სოფლის განვითარების 3 მილიონი ევროს მოცულობის საპილოტე კომპონენტის მთავარი ამრი იმაში მგდომარეობს, რომ არაა აუცულებელი სოფელში მცხოვრები ყველა მოსახლე ფერმერი იყოს**

განვითარების გეგმებს, რის შემდეგაც ამ გეგმების ცალკეული პუნქტები კონკურსის საფუძველზე დაფინანსდება. საპილოტე პროექტების ინტენსიური მონიტორინგისა და ანალიზის შედეგები კი ქვეყნის მასშტაბით პროგრამის ყველა მონაწილეს დაეგზავნება, რომელთაც აქვთ ევროპული გამოცდილებაც და იცნობენ ადგილობრივ კონტექსტსაც.

კერძოდ, ქვა ინთერნეიშენელი (Care International) თავის ესპანურ პარტნიორ ორგანიზაცია ETEA-თან (ანდალუზიის რეგიონული განვითარების ფონდი) ერთად ამ პროექტს ლაგოდესში გაუძღვება. მათ ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციაც დაეხმარება, რომლის ფუქნცია პროექტში ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების წევრების ჩართვა იქნება, ხოლო World Wildlife Fund Caucasus შეიმუშავებს სტრატეგიას ადგილობრივი ეკოლოგიური მრავალფეროვნების შენარჩუნებისა და ბუნებრივი რესურსების სწორად გამოყენების მიზნით.



ჩეხური ორგანიზაცია People in Need, ამ პროექტს ყაზბეგში უხელმძღვანელებს, სადაც მისი პარტნიორი „ჩეხეთის სამოქმედო ჯგუფების ეროვნული ქსელი“ იქნება და ის ჩეხურ გამოცდილებას შემატებს პროექტს. კიდევ ერთი პარტნიორი კი ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანა“ იქნება, ქართული არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელსაც დიდი გამოცდილება აქვს ორგანული პროდუქციის წარმოებაში, აგროწარმოების ინოვაციურ მეთოდებში, მდგრად ტურიზმში, ადგილობრივი პროდუქტების ბრენდირებასა და მარკეტინგში და ამ გამოცდილებას პროექტსაც გაუზიარებს.

მერსი ქორპსი რეგიონული განვითარების პროექტს ბორჯომში განახორციელებს. მისი პარტნიორები იქნებიან Angus Council, რომელიც ანალოგიურ პროექტს შოტლანდიაში ახორციელებდა და ავსტრიის ფედერალური ინსტიტუტი, რომლის გამოცდილებაც ავსტრიის მაღალმთიანი რეგიონებისა და ცენტრს მოწყვეტილი დასახლებების განვითარებას უკავშირდება, მათ შორის ბორჯომის მსგავსი რეგიონების, როგორებიცაა ვორარლბერგი და სტირია. დიახ, რეგიონული განვითარება სიახლეა საქართველოსთვის, მაგრამ არსებობს საერთაშორისო პრაქტიკა და შესაძლებელია მისი გამოყენება. ■

# ENPARD

საპილოტე რეგიონული განვითარების პროგრამას 3 მილიონი ევროს ოდენობის ბიუჯეტი აქვს



CARE / ETEA ფონდის პროექტი ლაგოდესში განხორციელდება



„ადამიანი გაჭირვებაში“ (People in Need) და მისი განმახორციელებელი პარტნიორი, „ჩეხეთის რესპუბლიკის ადგილობრივი მოქმედი ჯგუფების ეროვნული ქსელი“ ყაზბეგის განვითარებაზე იზრუნენ



მერსი ქორპსი, Angus Council და ავსტრიის ფედერალური ინსტიტუტი პროექტს ბორჯომში განახორციელებენ

